



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრ(ებ)ი:

1. კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. თეა ელერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. მამუკა ხაჩიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225065327

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბაღდათი, სოფელი პირველი ობჩა.
ფაქტობრივი მისამართი	ბაღდათი, სოფელი პირველი ობჩა, პირველი ქუჩა #75
საფოსტო ინდექსი	1000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge .
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	PirveliObcha@mes.gov.ge .
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599 45 22 46

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 27 მაისის MES 0 24 0000582374 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ.
--	---

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)

20-21 ივნისი, 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ბაღდათი, სოფელი პირველი ობჩა, პირველი ქუჩა N75
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ბაღდათი, სოფელი პირველი ობჩა, პირველი ქუჩა N75

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 27 მაისის MES 0 24 0000582374 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრები - კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); თეა ელერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); მამუკა ხაჩიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); ნინო სალარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში (ს/კ: 225065327).

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს, 2024 წლის, 20-21 ივნისს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. შეხვედრამ პოზიტიურ, კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა, ექსპერტებმა მასწავლებლებს მისცეს საქმიანი, კონსტრუქციული უკუკავშირი, ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტისგან მიიღეს რჩევა კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და საგნობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში. სკოლას თვითშეფასების დოკუმენტში 2.1 კომპონენტში, კურიკულუმის შემუშავება, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე, მონიშნული ჰქონდა, როგორც - მეტწილი შესაბამისობა (სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული შეფასება გამოიწვია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არასრულმა აღჭურვილობამ, თუმცა ექსპერტთა ვიზიტამდე, სკოლას შემენილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესავსებად საჭირო ნივთები და შესაბამისი რეაქტივები), შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით შეფასება შეიცვალა და გახდა სრული.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 60	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	ხარვეზი



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N..		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	უზრუნველყოს სკოლაში ინკლუზიური გარემოს, კერძოდ პანდუსის/ლიფტის და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის საკითხი სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაში (21.03.2024 - 21.03.2026)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რჩევა - მოახდინოს სამოქმედო გეგმაში ასახული შესრულების ინდიკატორების რევიზია და უზრუნველყოს შესაბამისი სახით ფორმირება, მათი მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი N 1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა - დეტალურად გაწეროს, თუ როგორ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზება.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	სკოლას მიეცა რჩევა - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ასახოს, თუ სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით, რომელი ინსტრუმენტებით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.



ინდიკატორი N.3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სკოლის მიერ დამტკიცებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში, დეტალურად გაწეროს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების პროცედურები.
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას მიეცა რჩევა - სკოლაში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან გადაამზადოს საკუთარი კადრი ამ მიმართულებით.



ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა - „პერსონალურ მონაცეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 33) შესაბამისად, დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აძლევს რჩევას: სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის (1-6 კლასები) ჩარჩოში მითითებული იყოს თემატური ბლოკის გრაფა.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენების ექსპერტი აძლევს რჩევას: დაწყებითი საფეხურის V, VI კლასების ინგლისური და გერმანული ენების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში ყურადღება მიაქციეთ დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მათ შორის კულტურათა დიალოგი) ან მიუთითეთ რა სახით/ფორმით დამუშავდება სამიზნე ცნება-კულტურათა დიალოგი; დაწყებითი საფეხურის I, III, IV, V, VI კლასების ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში, გრაფაში „სასწავლო რესურსები“ სასურველია აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი;
ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აძლევს რჩევას: სასურველია, მომავალში კათედრამ უფრო მეტად წარმოაჩინოს სასწავლო პროცესის შეფასების სისტემური ხედვა, რაც გულისხმობს შეფასების კონცეფციის, ინსტრუმენტების და მათი მიზნობრიობის, ასევე, სასწავლო რესურსის ერთიან ხედვას.
ინდიკატორი N 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აძლევს რჩევას: სასურველია, სწავლა-სწავლების პროცესში ყოველთვის განისაზღვროს შეფასების მიზანი და მასზე ორიენტირებით შეირჩეს შეფასების ინსტრუმენტები, რაც საშუალებას მოგვცემს სწორად და მიზნობრივად შევარჩიოთ შეფასების კრიტერიუმები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენების ექსპერტი აძლევს რჩევას: საბაზო საფეხურის ინგლისური ენის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში, N1-3 თემების ველში სამიზნე ცნების სახელწოდებები დაზუსტდეს და გაიწეროს სტანდარტის შესაბამისად. ხოლო სამიზნე ცნება ჩაიშალოს ქვეცნებებად სასწავლო თემის შესაბამისად; საბაზო საფეხურის VII, VIII კლასების ინგლისური და გერმანული ენების VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში ყურადღება მიაქციეთ დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მათ შორის კულტურათა დიალოგი) ან მიეთითეთ რა სახით/ფორმით დამუშავდება სამიზნე ცნება-კულტურათა დიალოგი; საბაზო საფეხურის VIII კლასების ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში, გრაფაში „სასწავლო რესურსები“ სასურველია აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი;
ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აძლევს რჩევას: სასურველია, მომავალში კათედრამ უფრო მეტად წარმოაჩინოს სასწავლო პროცესის შეფასების სისტემური ხედვა, რაც გულისხმობს შეფასების კონცეფციის, ინსტრუმენტების და მათი მიზნობრიობის, ასევე, სასწავლო რესურსის ერთიან ხედვას. ასევე, სასურველია, უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება თემა/საკითხსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნაზე.
ინდიკატორი N 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აძლევს რჩევას: სასურველია, სწავლა-სწავლების პროცესში ყოველთვის განისაზღვროს შეფასების მიზანი და მასზე ორიენტირებით შეირჩეს შეფასების ინსტრუმენტები, რაც საშუალებას მოგვცემს სწორად და მიზნობრივად შევარჩიოთ შეფასების კრიტერიუმები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი 3.4.1.1 (სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად მისი შესრულების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 30.12.2024. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ ჩატარებული გამოკვლევის აქტი და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რითაც დასტურდება, რომ სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობას ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა, შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და მისი ექსპლუატაცია უსაფრთხოა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ, მიწერილობის შემდგომ ჩატარებული სამუშაოების შემდგომ, განხორციელებული შემოწმების აქტი და ამავე სააგენტოს უფროსი /დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი (3.4.1.1) დასკვნის ფარგლებში შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.

მესამე სტანდარტის ინდიკატორი 3.5.1.4. (სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს), ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, რამდენადაც სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ლიფტის დამონტაჟების ბოლო ვადად განსაზღვრული აქვს 2026 წლის 21 მარტი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა, მისი ახალი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას მიაჩნია, რომ ლიფტის ან კიბე - ამწის მოწყობა



მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რადგან შენობის პირველ სართულზე ნებისმიერი პირის მოხვედრა თავისუფლად შეიძლება ნებისმიერ დროს. ხოლო მეორე სართულზე მოხვედრა შეიძლება პანდუსის გამოყენებით, ამიტომ სკოლა ფიქრობს დაზოგოს სახელმწიფო ფინანსები და ნაკლები დანახარჯით მოახერხოს ინკლუზიური გარემოს მოწყობა. აქედან გამომდინარე, როგორც არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, ამ მიზნით სკოლამ მონიშნა ადგილები პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილებისთვის. თუმცა რადგან სკოლამ ყოველივე ზემოთქმულისთვის არ შეიმუშავა ახალი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის ბოლო ვადად კვლავ განსაზღვრულია 21.03.2026, ინდიკატორის შეფასება არ შეცვლილა და დარჩა შეფასება “ნაწილობრივ შეესაბამება”.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რჩევებს ოთხივე სატანდარტთან მიმართებით და გაითვალისწინებს მათ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის პროექტის ფარგლებში სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის სამუშაო აღწერილობების დოკუმენტის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე, რადგან დოკუმენტში არ იყო განსაზღვრული დირექტორის უფლება-მოვალეობები, ხოლო სკოლის დირექტორის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები არ იყო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ამონარიდები ახალი დოკუმენტიდან, რომლითაც დასტურდება, რომ წარმოდგენილი ახალი ვერსია შესაბამისობაშია, სკოლის საჭიროებებთან.

სკოლამ მყისიერად გაითვალისწინა ასევე რჩევა ვიდეო კამერების დამატებასთან დაკავშირებით (ინდიკატორი 3.4.1.1.) რამდენადაც სკოლის კიბის უჯრედი არ კონტროლდებოდა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა კამერის დამონტაჟების მტკიცებულება, ფოტომასალის, და ეკრანის ამონაბეჭდის სახით.



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მისიაა - დაწყებით და საბაზო საფეხურზე ეროვნული, თანამედროვე, უსაფრთხო, ძალადობისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან თავისუფალი, დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და ზოგადსაკაცობრიო იდეების მქონე, ცხოვრებისათვის მომზადებული, ცოდნით, ზნეობით, სასიცოცხლო უნარ - ჩვევებით აღჭურვილი, ადამიანის აღზრდა.

სკოლის მისია ეფუძნება იმ ხედვებს, რომელზედაც თანხმდებიან სასკოლო საზოგადოების წევრები: სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები. შესაბამისად წარმოდგენილი ხედვის თანახმად - სკოლა არის და იქნება უსაფრთხო და დაცული ადგილი; გაზიარებული იქნება პასუხისმგებლობა მოსწავლეებს, ოჯახებს, სკოლის პერსონალსა და სასკოლო საზოგადოებას შორის; იქნება მყარი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება; სკოლა იზრუნებს დემოკრატიული და თავისუფალი ღირებულებების მატარებელი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის; მოამზადებენ მოსწავლეს საშუალო საფეხურისათვის ან შრომითი საქმიანობისათვის.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ღირებულებებია:

- უსაფრთხოება;
- სამართლიანობა;
- გუნდურობა/თანამშრომლობა;
- სხვათა შრომის მიღწევების პატივისცემა;
- პატრიოტიზმი;
- ღიაობა.

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს ასევე **დაწყებითი საფეხურის მისია**: დაწყებითი საფეხურის მისიაა: ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა; გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

განსაზღვრულია ასევე **საბაზო საფეხურის მისია** - საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის. 2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი

ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი მისია (მისიები) და ხედვა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

წარმოდგენილი მისიიდან და ხედიდან იკვეთება, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შექმნაში (უსაფრთხო, ძალადობისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან თავისუფალი, დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და ზოგადსაკაცობრიო იდეების მქონე, ცხოვრებისათვის მომზადებული, ცოდნით, ზნეობით, სასიცოცხლო უნარ - ჩვევებით აღჭურვილი, ადამიანის აღზრდა.)

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სკოლა გეგმავს უზრუნველყოს: უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო და სასწავლო გარემო; ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას; იზრუნოს პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე, განვითარებასა და აღჭურვაზე; ხელი შეუწყოს მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

თავისი საქმიანობის ფარგლებში სკოლა ეყრდნობა განათლების სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა - გუნდურობა და თანამშრომლობა. შესაბამისად მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესამუშავებლად სკოლაში შეიქმნა წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რაც სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიითაც არის განსაზღვრული. იდეები შეგროვდა მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეთა თვითმართველობის შეკრებებზე. ასევე ჩატარდა მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა შემუშავებული კითხვარების მეშვეობით. მიწოდებული იდეების გათვალისწინებით

ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც განსახილველად კვლავ წარედგინა სასკოლო საზოგადოებას, მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და მიიღო საბოლოო სახე.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

როგორც უკვე აღინიშნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მათი იდეების გათვალისწინებით. დირექციის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ განხილვის პროცესში გამოვლენილი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, სასკოლო საზოგადოება შეჯერდა საბოლოო ვერსიაზე და გაიზიარა გაცხადებული მიზნები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროდ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრულია წარმოდგენილი სკოლის ტიპი და სახელი (სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლისთვის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება). შესაბამისად სკოლის სახელი სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- დირექტორის ბრძანება - სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;
- მშობელთა კითხვარები;

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის შესამუშავებლად დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფში გაერთიანდნენ როგორც დირექციის, კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობელთა და თემის წარმომადგენლები. მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს და ადგენს სკოლის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირებს და პროცესში ჩართულ მხარეებს, ასევე აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც განხორციელდა სკოლისათვის გრძელვადიანი -

სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიეკუთვნება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების რიცხვს, რომელიც ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ. ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის შვიდწლიანი 2024-2031 ს/წ სტრატეგიული გეგმა შეთანხმებულია სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთან 2023 წლის 8 დეკემბერს (ოქმი N7) და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე 2024 წლის 12 იანვარს (ოქმი N2). გეგმის შემუშავებაზე იმუშავა ჯგუფმა, რომელშიც გაერთიანებული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის და ასევე თემის წარმომადგენლები. სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობისა და საფრთხეებიდან გამომდინარე, საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი) დეკლარირებული მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობის ფარგლებში საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

1. სასწავლო სააღმზრდელო პროცესების განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
2. სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
3. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და განვითარება;
4. მშობელთა ჩართულობა სასწავლო - აღმზრდელობით პროცესში.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს თავის მხრივ რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ამოცანებად, განსაზღვრულია რისკები, გარე პარტნიორები, რომელთა ჩართვაც შეიძლება აუცილებელი გახდეს კონკრეტული მიზნის მისაღწევად და ასევე მოსალოდნელი შედეგები,

ექსპერტთა მოსაზრებით წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა სრულად მოიცავს სასწავლო პროცესის წარმართვის ყველა პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა შეთანხმებულია სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის N5 სხდომაზე და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის N1 სხდომაზე. სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სამოქმედო გეგმაში ძირითადი მიზნები ჩაშლილია ამოცანებად (აქტივობები/შინაარსი), განსაზღვრულია შესრულების ვადა თვეების მიხედვით, შემსრულებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები და ინდიკატორები. ინდიკატორებად სკოლას რიგ შემთხვევებში მითითებული აქვს მშობელთა კრების ოქმები, დიაგნოსტიკური ტესტები, გამოკითხვა, დაკვირვება, რაც ექსპერტთა მოსაზრებით ვერ იქნება შესრულების ინდიკატორი, რამდენადაც ინდიკატორი შეიძლება იყოს აღნიშნული ამოცანების შესრულების გათვალისწინებით მიღებული შედეგი და ის უნდა იყოს გაზომვადი მაგ: ამოცანისთვის - საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმების შემუშავება, დამტკიცება და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილების შეტანა, შესრულების ინდიკატორი ვერ იქნება გამოკითხვა და დაკვირვება, არამედ საურველია ფორმულირება მოხდეს მაგ: შემდეგნაირად - კათედრების ყველა წევრის მონაწილეობით შემუშავებული სამუშაო გეგმები, რომლებშიც განსაზღვრულია განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები, რისკები და მოსალოდნელი შედეგები.

შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლამ მოახდინოს შესრულების ინდიკატორების რევიზია და უზრუნველყოს შესაბამისი სახით ფორმირება, მათი მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2024-2031 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის სხდომის ოქმი N5;
- სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის სხდომის ოქმი N1;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)



3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი განხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად. სკოლის სტრატეგიის განხორციელების შეფასება მოხდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ჩატარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამებელი შეფასება დაიწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და დასრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება პირველი სემესტრის ბოლოს, შედეგად შემუშავდება 2 ტიპის ანგარიში: შუალედური და წლიური ანგარიში. წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესრულების, ანგარიშები გამოქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე სკოლის სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა - დეტალურად გაწეროს თუ როგორ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება, თუმცა მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სტრატეგიული განვითარებისა და შესრულების მონიტორინგი განხორციელდება მეთოდოლოგიაში განსაზღვრული პროცედურების მიხედვით. სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირი მიიღება საერთო შეხვედრებზე გამოკითხვის დროს, დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ მშობელთა კრებებზე, გაერთიანებულ კრებებზე, სკოლის ვებ გვერდზე, სოციალური ქსელისა და ელ. ფოსტის გამოყენებით. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგზე უკუკავშირის ვადა და შეხვედრების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;



რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება, თუმცა მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლაში სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, მეთოდოლოგიის სამუშაო ჯგუფი მოამზადებს ანგარიშს, გეგმის შესრულების შედეგების შესახებ და გადასცემს დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში მომზადდება, წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში სამ წელიწადში ერთხელ. შედეგების გაზიარება მოხდება საერთო კრებაზე, სოციალური ქსელების დახურული ჯგუფების საშუალებით, კლასის დამრიგებლების (მატერიალური სახით დამრიგებლები მისწერენ წერილს მშობლებს), საინფორმაციო დაფის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რაც ასევე დაგვიდასტურეს დირექციის წარმომადგენლებმა, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გაანალიზდება გამოიკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რისი გათვალისწინებითაც სკოლა დასახავს ინტერვენციებს გამოწვევებისა და გასაძლიერებელი მხარის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2024-2031 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის <https://emis.ge/> მონაცემების, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 კათედრა, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. სკოლის კოლეგიური სამუშაო ჯგუფების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებებით.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული არიან: დირექტორი, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული emis-ში დარეგისტრირებული პირი - დირექტორის მოადგილე (ბრძანება N 12/51, 2020 წლის 11 დეკემბერი) რომელიც დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს დირექტორის მოვალეობას, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, სკოლის ექთანი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში და ასევე სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის ფარგლებში 1 დამლაგებელი, 1 მეუბოვე, 1 დეკორატორი და 1 კარისკაცი. სკოლაში 10 მასწავლებელია (მათ შორის 1 წამყვანი, 1 დირექტორი - წამყვანის სტატუსით, 1 საქმისმწარმოებელი - უფროსის სტატუსით).

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (დამტკიცებულია 2023 წლის, 22 დეკემბრის N2-60 ბრძანებით), ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (დამტკიცებულია 2024 წლის 26 თებერვლის N2-15 ბრძანებით), ასევე პერსონალის სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაბამისად. მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის წესების მიხედვით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (დებულებები, პედსაბჭოს, კათედრების, სამეურვეო საბჭოს დებულებები, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, პერსონალის სამუშაო აღწერილობები) შესწავლის, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მათი უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები გამიჯნულია და არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლაში არის თანამშრომლობითი და მეგობრული გარემო, ყველა სტრუქტურული რგოლი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურადაა ჩართული სკოლის მიზნებისა და გეგმის განხორციელებაში. დირექტორის მოადგილის ფუნქცია მოვალეობებში იყო ჩანაწერი (პუნქტი 18) - სკოლაში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის ხელმძღვანელობა გაუწიოს ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლის მუშაობას, ისე ჯგუფს, კოორდინირება გაუწიოს

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებასა და მონიტორინგს. რამდენადაც სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, დასკვნის პროექტის ფარგლებში სკოლას მიეცა რჩევა პერსონალის სამუშაო აღწერილობების დოკუმენტის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოადგილის ფუნქცია მოვალეობების ახალი ვერსია, რომლის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ის შესაბამისობაშია, სკოლის საჭიროებებთან.

დოკუმენტში არ იყო განსაზღვრული დირექტორის უფლება-მოვალეობებიც, რასთან დაკავშირებითაც სკოლას, დასკვნის პროექტის ფარგლებში, ასევე მიეცა შესაბამისი რჩევა. აღსანიშნია, რომ სკოლამ გაითვალისწინა ეს რჩევა და აპერსონალის სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში ასახა დირექტორის უფლება-მოვალეობები, რაც წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პედსაბჭოს დებულება;
- კათედრების დებულება;
- სამეურვეო საბჭოს დებულება;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის <https://emis.ge/> -ის ამონაწერი;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებების, პედსაბჭოს, კათედრების, სამეურვეო საბჭოს დებულებების, პერსონალის მართვის პოლიტიკის და შინაგანაწესის მიხედვით.

სკოლის შრომის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია სკოლის დირექტორის მიერ და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 30 აგვისტოს N4 სხდომის ოქმით, თანხვედრაშია პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან, სკოლის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესში, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ცვლილება განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის შინაგანაწესის, ასევე ადამიანური მართვის პოლიტიკის შესწავლით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით, დგინდება, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ან/და მასზე რეაგირებისათვის, კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა ამონაბეჭდები www.pedagogi.ge/teachersjobs.ge. - გვერდიდან, რომელზეც განთავსებული იყო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის და ექთნის ვაკანსიები. წარმოადგინა ასევე კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის ოქმები.

არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, პრევენციის მიზნით, მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულია წესი, რომლის თანახმად წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 საათით ადრე) გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის, ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. ასეთ შემთხვევებში დირექტორის მოადგილე ახდენს ასეთი მასწავლებლის საგაკვეთილო ცხრილის გადანაცვლებას. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა გაცდენილი და



შეცვლილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც მითითებულია გაცდენის თარიღი, კლასი/კლასების, საათების რაოდენობისა და გაცდენის მიზეზები.

სკოლის შინაგანაწესში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების, გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც, ასევე ასახულია შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

პერსონალის შერჩევის პროცესში, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა" და სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესის შესაბამისად.

სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www.pedagogi.ge/teachersjobs.ge. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს და შესაბამისად ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არიან ნასამართლევი, არ იძებნებიან, არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, არ იმყოფებიან ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე და არ აქვთ ჩამორთმეული უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლაში პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რაც ასევე დადასტურდა პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;



თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას ემსახურება სკოლაში შექმნილი პედსაბჭო, მრჩეველთა თუ სამეურვეო საბჭოები, ასევე სკოლის კათედრები, რომლებშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. ისინი განიხილავენ ცვლილებებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ახორციელებენ კურიკულუმის მოდიფიცირებას. სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში იქმნება კომისიები. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის, ადამიანური და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტების თანახმად, სკოლაში დელეგირებულია უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები. სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა და ყველა პირი, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა ასევე სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროსაც. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესით (მუხლი 10) განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, რომლის თანახმად, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; თანამშრომელთათვის წახალისების სახით დამატებით გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლის შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც.

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში მიღწევების, გამარჯვების, წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს და სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფას, ასევე ფულად პრემიებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა თანამშრომლობს საზოგადოებასთან “ეტალონი - განათლება” www.etaloni.ge და სკოლის, პედაგოგისა და მოსწავლის წამატება ქვეყნდება მათ გვერდზე.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს მათ განვითარებას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პედსაბჭოს დებულება;
- კათედრების დებულება;
- სამეურვეო საბჭოს დებულება;



- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები.
- პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალური ხელშეკრულები;
- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრები შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია და სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის N8 სხდომის ოქმით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე

შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება/დაკვირვება/შეფასება და საჭიროების მიხედვით უკუკავშირის მიცემა. გარდა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისა, კათედრების სამოქმედო გეგმისა და სხდომის ოქმების გათვალისწინებით დგინდება, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდება უკუკავშირის მიცემა. ამ მიზნით მხარდაჭერის ჯგუფს, საგნობრივი კათედრის წევრების თანამონაწილეობით შემუშავებული აქვს გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების რუბრიკები, რომელიც განახლებადია (ყოველ სასწავლო წელს).

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს ასევე პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის (მუხლი 9. თანამშრომლების პროფესიული განვითარების სისტემა) თანახმად სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ამაღლების გზით. ამ მიზნით სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლების ჩართვას ტრენინგებში. საპროექტო საქმიანობაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლის დირექციის განმარტებით ირკვევა, რომ სკოლის ბაზაზე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, აქტიურად ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, ამისთვის შემუშავებულია მასწავლებელთა დასწრების განრიგი, რომელიც მთელ სასწავლო წელზეა გათვლილი. გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე მათი განვითარება ხორციელდება მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით, შესაბამისი ტრენინგებით. დირექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, 2022-2023 სასწავლო წელს აქტიურად მიმდინარებდა მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება, საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტიკა და სწავლების ხარისხის შეფასება.

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, მათი ინიციატივით TEAMS -ის პლატფორმაზე შექმნილია ჯგუფი, სადაც მასწავლებლებს შეუძლიათ განიხილონ ინიციატივები და მათი განხორციელების გზები. მასწავლებლები საჭიროების მიხედვით ირჩევენ და ესწრებიან როგორც მასწავლებელთა სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს, ასევე ისმენენ ონლაინ ტრენინგებს el.ge - პლატფორმაზე და ერთდ აანალიზებენ მოსმენილს. სკოლამ წარმოადგინა გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა, რომლის განხორციელებაც მომავალი სასწავლო წლისთვის არის დაგეგმილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით, ასევე გასული წლის დირექტორის ანგარიშით დგინდება, რომ სკოლის მასწავლებლები აქტიურად ზრუნავენ პროფესიული განვითარებისათვის და თვითგანვითარებაზე. სკოლაში დასაქმებულია 10

მასწავლებელი, რომელთაგან 8-ს აქვს უფროსი მასწავლებლის და 2-ს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. სკოლა თავის მხრივ მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და კვალიფიკაციის ამაღლებას, სკოლის მასწავლებლების უმრავლესობამ ჩაატარა სავალდებულო საგნობრივი გაკვეთილები და გაიარა სავალდებულო ტრენინგები. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება, საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტიკა და სწავლების ხარისხის შეფასება.

რამდენადაც სკოლა მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურს ახორციელებს, დასაქმებულია სულ 16 ადამიანი. შესაბამისად ყველა მათგანი გაერთიანებულია ხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში - სამეურვეო, საბჭოში, დისციპლინარულ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში, ხარისხის უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის ჯგუფში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას, გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით. როგორც უკვე აღინიშნა სკოლა მუდმივად სთავაზობს მასწავლებლებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ტრენინგებს, რაც თავისთავად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. პერსონალს თავისუფლად შეუძლია სასკოლო სივრცეში არსებული რესურსების გამოყენება (ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, კომპიუტერი და ადამიანური რესურსი). აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციისთვის. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სოციალიზაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ახალმიღებული თანამშრომლის ადაპტაციის წესს. წესი ითვალისწინებს თანამშრომლის სწრაფად გარკვევას მნიშვნელოვან საკითხებში, შფოთვის და სტრესის შემცირებას, ეფექტური სოციალიზაციას და სკოლისადმი ერთგულების ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის დოკუმენტაციის, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დელეგირებულია თანამშრომელთა უფლება/მოვალეობები, რაც ხელს უწყობს საქმიანობის ეფექტურ წარმართვას. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში პოზიტიური, მეგობრული და თანამშრომლობითი გარემოა, რასაც დირექტორთან ერთად მთელი კოლექტივი ქმნის. ისინი საკუთარი ინიციატივებით, ერთობლივად გეგმავენ ღონისძიებებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ზრუნავენ ერთმანეთის განვითარებაზე. სკოლის სამოქმედო გეგმის ერთერთ მთავარ მიზანს სკოლის პერსონალის განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც დაგეგმილია, მათი საჭიროების გათვალისწინებით ტრენინგებისა და ვებინარების ჩატარება. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



- კათედრის ოქმები;
- კათედრების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია - ორიენტაციის პროცედურა.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანი სკოლაში ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის შექმნაა. დოკუმენტით განსაზღვრულია წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, მონიტორინგსა და რევიზიას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დანერგვას და გაუმჯობესებას, ასევე გარე შეფასების (ავტორიზაცია) უკუკავშირის გაანალიზების შედეგად შიდა შეფასების მექანიზმების დახვეწას. რამდენადაც სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ძალიან ზოგადია, ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში აისახოს, თუ სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით, რომელი ინსტრუმენტებით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა გარკვეულწილად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა“. დირექციის, ადმინისტრაციისა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები გაწერილია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში. და ასევე სკოლის შინაგანაწესში, ხელშეკრულებებში, ბრძანებებში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, სკოლაში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით რეგულირდება არსებული პროცესები და თითოეული ტიპის პროცესზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/შობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის დირექტორის 2023 წლის N2-69 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ -ზაფხაძის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის წარდგენის, განხილვის წესი და მისი ვადები. დოკუმენტის თანახმად გადაწყვეტილებების გასაჩივრების ან საჩივრის განხილვის მიზნით სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან

გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო. მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი.

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია (მუხლი 16. საპრეტენზიო კომისია) მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურაც. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის პირი განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს, რომელიც საკითხის განხილვის მიზნით, ქმნის საპრეტენზიო კომისიას.

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (2023 წლის 28 დეკემბერი), განსაზღვრულია, როგორც სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების, ასევე პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესები. წესების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის, ან სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ წარდგენილი, ასევე სკოლის მასწავლებლის ან სკოლის ნებისმიერი სხვა პერსონალის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ მათგანს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ; უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მენიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ. უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ. უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ასევე, შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრებისა და განხილვის წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებობს გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტში, სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი მკაფიოდ არის განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. აღნიშნული დადასტურდა არსებული ხელშეკრულებების გაცნობით, რომლებშიც ყველა მშობელს თუ თანამშრომელს ხელმოწერით აქვს დადასტურებული შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში შექმნილია მშობელთა კლუბი, რომლის წევრებიც, თითქმის ყველა მშობელი, აქტიურად არის ჩართული სკოლის ცხოვრებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობლის/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის N2-69 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ -ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის დოკუმენტი;
- სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის N8 სხდომის ოქმით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით, დადგინდა, რომ სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებს: სოციალურ ქსელს, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას, დახურულ ჯგუფებს, Teams-ის პლატფორმას, საინფორმაციო დაფას. რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობებს. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია და სასკოლო საზოგადოების თითქმის ყველა წევრს აქვს შესაძლებლობა აქტიურად იყოს ჩართული სკოლის ცხოვრებაში. შესაბამისად სკოლის პერსონალი (6), მასწავლებლები (10) მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები ჩართულნი არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

სკოლის მიერ შემუშავებულია დირექტორის 2023 წლის 22 დეკემბრის N2-61 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელში ხაზგასმულია, რომ თითოეული თანამშრომელი ვალდებულია დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს სკოლის საქმიანოს გასაუმჯობესებლად, მაგრამ არ ჩანს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა დეტალურად გაწეროს უკუკავშირზე რეაგირების პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლამ წარმოადგინა მათი მუშაობის ამსახველი ოქმები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (2023 წლის 28 დეკემბერი),
- დირექტორის 2023 წლის 22 დეკემბრის N2-61 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);



2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს მის მიერვე შემუშავებული “ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით” - თავი 1 ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა და დოკუმენტით “საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი”, რომლებიც კანონმდებლობის დაცვით არის შედგენილი.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის პერიმეტრი შემოღობილია და დაცულია უცხო პირთაგან, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს: სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. რამდენადაც სკოლას არ ჰყავს მანდატური, დირექტორის ბრძანებით (N1/კ - 01 ნოემბერი, 2022 წ.) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სკოლის ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებელს, რომელიც გადამზადებული და სერტიფიცირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N65/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის შენობის და მიმდებარე ტერიტორიის დაცვას 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს 2 დარაჯი. სკოლას ჰყავს ასევე ცეცხლფარეში. სკოლის ტერიტორიის გარე პერიმეტრს აკონტროლებს გარე 5 და შიდა 5 კამერა, თუმცა თუმცა დასკვნის პროექტის ფარგლებში სკოლას მიეცა რჩევა კამერების დამატებასთან დაკავშირებით, რამდენადაც სკოლის კიბის უჯრედი არ კონტროლდებოდა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ

მყისიერად გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა კამერის დამონტაჟების მტკიცებულება, ფოტომასალის, და ეკრანის ამონაბეჭდის სახით.

ფიზიკური უსაფრთხოების სრულად უზრუნველსაყოფად სკოლამ განახორციელა არაერთი ღონისძიება - შეიმუშავა ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემის (გახმოვანება/მაუწყებლობა), ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემის (ავარიული განათება), სახანძრო საგანგაშო სისტემის (სიგნალიზაცია) პროექტები და განსახილველად წარუდგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, რომელმაც თავის მხრივ სკოლას გაუგზავნა მიწერილობა N1023, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ჩასატარებელი სამუშაოების ნუსხა. სკოლამ შეიმუშავა შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა და ინსპექტირებისთვის გადაუგზავნა შპს „ქრიზოლითი +“ -ს (A ტიპის ინსპექტირების ბიურო) სახანძრო სიგნალიზაციის და ადამიანთა ევაკუაციის სისტემის მოწყობის სამუშაოებზე შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მონაცემების შესაბამისობის დასადგენად, რომელმაც ინსპექტირების ანგარიშით დაადასტურა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტაციის მოთხოვნებთან და საბაზრო ღირებულებებთან. ინსპექტირების დადებითი ანგარიშის შემდგომ სკოლამ თხოვნის წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების სამუშაოებთან მიმართებით თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით; (73 648.89 ლარი). 2024 წლის 29 მაისის ხელშეკრულებით N320701-30 დასტურდება თანხის გადაცემა სკოლისთვის. გამოყოფილი თანხებით, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით სკოლამ ჩაატარა გარკვეული სამუშაოები და შესაბამისად ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის დროს დადასტურდა, რომ სკოლის დერეფანში განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოების დაფა შესაბამისი აღჭურვილობით. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები (13). სკოლაში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაცია, ავარიული განათებები, მოწყობილია მართვის (გახმოვანება/მაუწყებლობა) სისტემა, ყველა ოთახში დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები, ფოიეში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სახანძრო უსაფრთხოების წესები. სკოლაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმებიც, თუმცა ისინი საჭიროებენ ცვლელას, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ შესაბამის ორგანოსთან გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულება.

განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით, სკოლამ კვლავ 2024 წლის 20 ივნისს (N71065) წერილობითი თხოვნით მიმართა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან სკოლის შენობის შესაბამისობის დადგენის მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ განხორციელებული შემოწმების აქტი და ამავე სააგენტოს უფროსი /დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი

ობჩის საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

სხვენის დასამუშავებლად ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით სკოლამ, **2023 წლის 10 თებერვალს**, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა შპს “უსაფრთხოებასთან” (ს/კ 4455823). სამუშაოების ჩატარება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით (2023 წლის 10 თებერვალი).

სკოლამ, 2024 წლის, 21 მარტს, ასევე წერილობითი თხოვნით მიმართა, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის სრულყოფილად მოწყობასთან დაკავშირებით, რამდენადაც სააგენტომ ვერ დააკმაყოფილა თხოვნა, სკოლამ გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით მოეწესრიგებინა ლაბორატორია. შესაბამისად სკოლამ ლაბორატორიაში დაამონტაჟა გამწოვი კარადა და ონკანი. კაბინეტი არის ნათელი, რასაც უზრუნველყოფს 3 დიდი ფანჯარა, მასში განთავსებულია მოსწავლეთა მაგიდები და სკამები, ხოლო ლაბორატორიული რესურსი და რეაქტივები დაცულია საკეტიან კარადებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში, აღნიშნული იყო, რომ სკოლას არ ჰქონდა სკოლის მიერ შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეთანხმებული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და შესაბამისობის გეგმაში შესრულების ვადად მითითებული ჰქონდა 2024 წლის 30 დეკემბერი თუმცა ადგილზე ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შეთანხმებული დოკუმენტი (წერილი 27.03.2024).

ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი; უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერი; სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ცხელი ხაზის ნომერი; სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომერი; საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.

სკოლამ წარმოადგინა ასევე დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი, რითაც დასტურდება, რომ წერილი, რომლითაც სკოლა ითხოვს ხელშეკრულების გაფორმებას სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან - სკოლის შენობის მდგრადობის დადგენასთან დაკავშირებით, დარეგისტრირებულია ბიუროში. ასევე სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილია წერილი, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად შესაბამისი თანხების გამოსაყოფად, თუმცა სააგენტოდან ვერ მიიღო დადებითი გადაწყვეტილების დასტური. გამომდინარე აქედან სკოლამ კვლავ მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და გააფორმა მასთან ხელშეკრულება Nე-

258, 2024 წლის 30 მაისს საექსპერტო მომსახურების შესახებ. თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით შესრულების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 30 დეკემბერი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ზრუნავს და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის და თანამშრომლებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური - სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მოპოვება შესაბამისობის გეგმით გაწრილ ვადებში (07.03.2024 - 30.12.2024). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ ჩატარებული გამოკვლევის აქტი და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რითაც დასტურდება, რომ სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობას ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა, შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და მისი ექსპლუატაცია უსაფრთხოა.

სკოლას მიეცა რჩევა - სკოლაში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან გადაამზადოს საკუთარი კადრი ამ მიმართულებით.

წარმოდგენილი ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა, არსებული ნორმატიული აქტით მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები კაბინეტის მოწყობასთან დაკავშირებით. სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, რომელიც ნიავედება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, საათი, კარადა, რომელშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექთანი, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს და ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით (№41/ნ/01-23/ნ/2022 წლის 21 მარტი). რამდენიმე მასწავლებელი გადამზადებულია არასამთავრო ორგანიზაცია „world – vision“-ის მიერ, პირველადი სამედიცინო დახმარების კუთხით და აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები.



3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანების - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ მოთხოვნებს. ამავე ბრძანების საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო (ბრძანება N02-63, 28.12.2023 წ.). შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მრჩეველთა საბჭოს დებულება, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი პუნქტით განსაზღვრულია, რომ საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა (3.4.1.1.), სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სკოლის ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებელს, რომელიც გადამზადებული და სერტიფიცირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N65/ნ ბრძანების შესაბამისად. იგი მუდმივად აკონტროლებს სკოლის დერეფანს, სკოლაში დამონტაჟებულ უსაფრთხოების კამერებს, რომელიც სკოლის შიდა (5 კამერა) და გარე პერიმეტრს (5 კამერა) აკონტროლებს და რეაგირებს ყველა სამართლებრივი ნორმების დაცვით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება ყველა შემოსული სუბიექტი, დგინდება მოსვლის მიზეზი და ტარდება „სკოლაში გარეშე პირთა და სტუმრის სტატუსით შემომსვლელთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის სპეციალურ ჟურნალში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. მათი განმარტებით მოსწავლეები თავად ქმნიან ქცევის წესებს, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ დადგენილ ნორმებსა და სკოლის შინაგანაწესს. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, გამწვანებული ეზო და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, კორიდორები, ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესს და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ქმნის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური და გენერალური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები. სველი წერტილები მუშავდება სადეზინფექციო საშუალებებით. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიმდებარე ტერიტორია. სკოლაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „world vision“-თან თანამშრომლობით განხორციელდა სასკოლო პროექტები, რომლის ფარგლებშიც მოპოვებული გრანტებით დამონტაჟდა ჰელიო სისტემა და შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფილია თბილი წყლით. ასევე პროექტის ფარგლებში მოეწყო და

მოპირკეთდა სკოლის ეზო. სკოლას ჰყავს 1 დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები და სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 თებერვლის N2-14 ბრძანებით საქმისმწარმოებელი განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად. სკოლის საქმისმწარმოებლის ხელშეკრულების შესწავლით დადგინდა, რომ მის მოვალეობებში, სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული, მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა. მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მონაცემებს ამუშავებს, აგროვებს მხოლოდ კანონიერი გზით. მონაცემები დაცულია იმგვარად, რომ არ მოხდეს არსებული მონაცემების შემთხვევითი ან განზრახ განადგურება, მოპოვება, გამჟღავნება, დაკარგვა და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენება. სკოლა ინფორმაციას გაცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონფიდენციალობის დაცვით.

სკოლამ წარმოადგინა ასევე მშობლების, მასწავლებლების და პერსონალის თანხმობის ფორმები, ავტორიზაციის ფარგლებში, პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით. სკოლას მიეცა რჩევა – „პერსონალურ მონაცეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 33) შესაბამისად დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები. სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ საქმისმწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს, საარქივო მასალები ინახება დირექტორის კაბინეტში განთავსებულ კარადაში, მოსწავლეთა ჩარიცხვა, მოსწავლის სტატუსის მინიჭება, მოძრაობის აღრიცხვა, პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება კანონით განსაზღვრული წესების დაცვით. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა და მშობელთა ხელმოწერები, რითაც ისინი თანხმობას აცხადებენ მათი და მათი შვილების ფოტო და ვიდეო მასალის სჭიროებისამებრ გასაჯაროებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ეს ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება:

- სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
- სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;
- საევაკუაციო გეგმები;
- ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემის (გახმოვანება/მაუწყებლობა) პროექტი;
- ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემის (ავარიული განათება) პროექტი;
- სახანძრო საგანგაშო სისტემა (სიგნალიზაცია);
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი სახანძრო უსაფრთხოების სამუშაოებთან დაკავშირებულ პროექტებთან დაკავშირებით;
- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N1023 (26.10.2022);
- წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების სამუშაოებთან მიმართებით თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით; 73 648.89 ლარი;
- შპს „ქრიზოლითი +“ -ის (A ტიპის ინსპექტირების ბიურო) ინსპექტირების ანგარიში (ხარჯთაღრიცხვა) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ ოზრას საჯარო სკოლაში სახანძრო სიგნალიზაციის და ადამიანთა ევაკუაციის სისტემის მოწყობის სამუშაოებზე შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მონაცემების შესაბამისობის დასადაგენად ნორმატიულ დოკუმენტაციის მოთხოვნებთან და საბაზრო ღირებულებებთან;
- წერილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან სკოლის შენობის შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი;



- გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს “უსაფრთხოებასთან” (ს/კ 4455823) სხვენის დასამუშავებლად ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით; 2023 10 თებერვალი;
- პერსონალური მონაცემების დაცვა;
- სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- ჰელიო სისტემა;
- საგანგებო სიტუაციების გეგმა;
- სკოლის მდგრადობა.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N30.08.39.013. და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ ოზაში (შენობა-ნაგებობები N01/2 - 1597 კვ.მ., N02/1 - 13 კვ.მ და მასზე დამაგრებული 3245

კვ.მ. მიწის ნაკვეთი). სკოლის ძირითადი შენობა, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორსართულიანია, ძირითად შენობაში საკლასო ოთახები (12) განთავსებულია მეორე სართულზე, სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ოთახი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებულია ლაბორატორიისათვის საჭირო ხელსაწყო იარაღები და ინვენტარი.

სკოლას არ აქვს სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი, თუმცა შენობაში გამოყოფილია სივრცე (68 მკვ.მ) სპორტული აქტივობებისთვის. მასში განთავსებულია კალათბურთის ფარი, ხოლო დერეფანში ჩოგბურთის მაგიდა. სპორტული აქტივობები ხორციელდება ასევე ღია თანამედროვე სპორტულ მოედანზე. სკოლა სპორტის გაკვეთილების სრულყოფილად ჩატარებისათვის აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: ფეხბურთის, ფრენბურთის, რაგბისა და კალათბურთის ბურთებით, ჭადრაკის დაფებით, ბადმინტონით, ჩოგბურთის მაგიდით. სკოლას აქვს ორი პროექტორი. ყველა საკლასო ოთახს (12) აქვს ბუნებრივი განათება და აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით არსებულ მოსწავლეთა რაოდენობის (24) დამოთხოვნილი რაოდენობის (60) გათვალისწინებით. სკოლას აქვს ასევე სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 თებერვლის N2-08 ბრძანებით დამტკიცებულია - სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის მატერიალური და არა მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სამუშაო დღეებისა და საათების განმავლობაში. დირექციასთან შეთანხმებით შესაძლებელია არასასწავლო პერიოდშიც. დასვენებისა და მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლის ბიბლიოთეკა, 4000 წიგნადი ფონდით, განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს როგორც მხატვრული, ასევე მეთოდური და მოსწავლის სახელმძღვანელოებს. სკოლის ბიბლიოთეკარის პოზიცია შეთავსებული აქვს საქმისმწარმოებელს.

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის ერთიანი წესი. რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მიზნები და ამოცანები, ძირითადი პრინციპები და ფუნქციები, საბიბლიოთეკო რესურსის გატანა-დაბრუნების წესები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ცალკე დოკუმენტად არის შემუშავებული ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც დაკონკრეტებულია ბიბლიოთეკის ფონდის მოხმარების ძირითადი წესები, და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღწერილია საინვენტარო წიგნში.

სკოლის ბიბლიოთეკა სისტემატიურად ახლდება ახალი მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით. სკოლამ გასულ წლებში სამჯერ ზედიზედ მოიპოვა გრანტი სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის “world - vision”, მიერ გამოცხადებული კონკურსით. მოპოვებული გრანტებით შეძენილი იქნა როგორც მხატვრული, ისე მეთოდური ლიტერატურა. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის ადგილზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

არსებული ვითარების შესწავლით დასტურდება, რომ სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად, თუმცა სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის. სკოლას არ აქვს პანდუსი, არ არის ადაპტირებული სველი წერტილები. **თანამედროვე სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით და სათანადო ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, სკოლამ წერილობითი თხოვნით მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მ/შ-ს შესაბამისი გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე სააგენტოს მიერ ქალაქ ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან გადმოგზავილი წერილი (22.03.2024, N 343561) რომლითაც დასტურდება, რომ სააგენტო გამოთქვამს მზადყოფნას სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში, განიხილოს სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლაში პანდუსის/ლიფტის და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის საკითხი. თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად გადმოგზავნილ შესაბამისობის გეგმით შესრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის**

21 მარტი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ არგუმენტირებულ პოზიციებში სკოლამ წარმოადგინა, მისი ახალი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რომ მოაწყოს ლიფტი ან კიბე - ამწე, რადგან შენობის პირველ სართულზე ნებისმიერი პირის მოხვედრა თავისუფლად შეიძლება ნებისმიერ დროს. ხოლო მეორე სართულზე მოხვედრა შეიძლება პანდუსის გამოყენებით, ამიტომ სკოლა ფიქრობს დაზოგოს სახელმწიფო ფინანსები და ნაკლები დანახარჯით მოახერხოს ინკლუზიური გარემოს მოწყობა. აქედან გამომდინარე, როგორც არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, ამ მიზნით სკოლამ მონიშნა ადგილები პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილებისთვის. თუმცა რადგან სკოლამ ყოველივე ზემოთქმულისთვის არ შეიმუშავა ახალი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის ბოლო ვადად კვლავ განსაზღვრულია 21.03.2026, **ინდიკატორის შეფასება არ შეცვლილა და დარჩა შეფასება “ნაწილობრივ შეესაბამება”.**



5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სოცო-კულტურული განვითარებისთვის. სკოლის შენობას აქვს ფართო ნათელი დერეფნები და საკლასო ოთახები. საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით, კარადებით, ტანსაცმლის საკიდებით და სხვა სასკოლო ინვენტარით. სკოლა უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა სოციალურ, კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს, სასწავლო პროექტებს. მოსწავლეებისთვის შექმნილია მეგობრული, თანამშრომლობითი გარემო. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა;
- წერილი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ინკლუზიური გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით.;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N30.08.39.013;
- წერილი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის სრულყოფილად მოწყობასთან დაკავშირებით;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 თებერვლის N2-08 ბრძანებით დამტკიცებული - სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მატერიალური და არა მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის ერთიანი წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი,

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლის ბალანსზე არის 5 კომპიუტერი + 16 პორტაბელური კომპიუტერი. სკოლის შენობა უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტ-კავშირით. კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოიყენება ადმინისტრაციული პერსონალისა და მოსწავლეების მიერ სკოლის ადმინისტრირების/სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით. სკოლას აქვს ისტ-ის კაბინეტი, სადაც განთავსებულია 3 კომპიუტერი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. 1 კომპიუტერი განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საქმისწარმოების დოკუმენტბრუნვისათვის. 1 კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში, 1 კომპიუტერი გამოყოფილია ვიდეო კამერებისათვის, რომელსაც აკონტროლებს სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს ორი პროექტორი და 3 ასლგადამღები აპარატი. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია 4 Wi-Fi-ის აპარატი, რომლის საშუალებითაც სკოლის შენობა და მიმდებარე პერიმეტრი დაფარულია ინტერნეტის ქსელით. რამდენადაც სკოლა მცირეკონტიგენტიანია, არსებული რესურსი უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 თებერვლის N2-08 ბრძანებით დამტკიცებულია - სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის და ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, რომლითაც განიკარგება არსებული ტექნიკა. პედაგოგებს, მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ სამასწავლებლოში არსებული ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით და ასლგადამღები აპარატით. საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინოაა გამოკრული Wi-Fi-ს პაროლი, რომლის სარგებლობაც შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში არსებული ტექნიკით სარგებლობა, სასკოლო საზოგადოების წევრებს, შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 9:00 საათიდან საღამოს 17:00-მდე 40 წუთიანი (ერთი გაკვეთილი) ლიმიტით.

გარდა ამისა, ყოველწლიურად ხდება კომპიუტერების გადაცემა პირველკლასელთათვის. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიები სრულად ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური და არამატერიალური რესურსების სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 11 სექტემბრის N2-44 ბრძანებით და ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულებული სამუშაოს კონტროლს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებითა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით. საქმისწარმოების წესით დაარეგულირებულია ერთიანი წესები და პროცედურები, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემა და საარქივო საქმე. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ელექტრონული წესი. სკოლას აქვს შემოსული და გასული წერილების, საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები.

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია. კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახება ასევე პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაცია.

საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო

ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. სკოლაში შემოსულ გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას, ვებგვერდს, Microsoft Teams და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება - სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო eschool.emis.ge - ის პლატფორმაზე. მასზე სრული წვდომა აქვთ სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს და დირექტორის მოადგილის მ/შ-ს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. მაგ: საქმისმწარმოებელი, დირექტორის მოადგილესთან ერთად პასუხისმგებელია კლასების შექმნაზე, სკოლის ბარათზე, პირველკლასელთა ლიმიტზე, საგნების განაწილებაზე და დარეგისტრირებულ პირველკლასელთა სიის კონტროლზე, დოკუმენტების აღრიცხვაზე, კლასის ცვლილებებზე, მობილობაზე. ბიბლიოთეკარი საქმის მწარმოებელთან ერთად ავსებს სახელმძღვანელოების გვერდს. ბუღალტერი აწარმოებს სამტატო განრიგის მონაცემებს. ყველა მასწავლებელს ბაზაში აქვს საკუთარი პირადი პროფილი, რომლის საშუალებითაც ისინი ეცნობიან გაკვეთილების განრიგს, ძირითად ხელფასს დანამატებით. სკოლის დირექტორი მონიტორინგს უწევს ბაზაში ასახულ ინფორმაციის სიზუსტეს და სხვა. დადასტურდა, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომლებთან მიმართებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით, რომელიც ეხება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე);
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სკოლა იყენებს: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდს - <https://skolebi.emis.ge/>, ოფიციალურ facebook გვერდს, ელექტრონულ ფოსტას PirveliObcha@mes.gov.ge. სასკოლო აქტივობების ბლოგს, Teams-ის პლატფორმას, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ საკუთარი მობილური ტელეფონების საშუალებით. ელექტრონული



ფოსტის საშუალებით. კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ სადამრიგებლო კლასებთან ურთიერთობისათვის მესენჯერ-ჯგუფები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებლებს აქვს კომუნიკაცია და მიეწოდებათ საჭირო ინფორმაცია წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გადამოწმებით დასტურდება მათი სანდოობა. ამ მიზნით სკოლაში ბრძანებითაა განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციასთან. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას თავისი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირის მშობლებისა და მოსწავლეებისგან და იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის ვებგვერდზე <https://skolebi.emis.ge/>, ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებგვერდის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასზე განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, პროგრამები, მხარდაჭერის მექანიზმები, საქმისწარმოების

წესი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, მშობელთა, მასწავლებელთა თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი;
- ელექტრონულ ფოსტა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

დირექციასთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსის განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. მომდევნო წლის ბიუჯეტი იგეგმება მიმდინარე წლის ბოლოს, გასული წლის განმავლობაში მომხდარი ფინანსური ცვლილებების მიხედვით. სკოლის თანხების ხარჯვა ხორციელდება სამოქმედო გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხებს, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა ვაუჩერს, მასწავლებელთა სერტიფიცირების დანამატს.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორი, კანონმდებლობის თანახმად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოში, ხოლო 15 იანვრამდე საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიურ ბალანსს). წლიური ანგარიშგების წარდგენამდე ხორციელდება სკოლაში არსებული ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი ინვენტარის ინვენტარიზაცია. ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ, კომისიის მიერ ხდება ძირითადი და მცირე ფასიანი ინვენტარის აღწერა, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერიას, ბუღალტრის მიერ ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა, მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. შესყიდვების გეგმა დგება ბაზრის კვლევის საფუძველზე და იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში Eplan-მოდულში. შერჩეულ ორგანიზაციასთან იდება შესაბამისი ხელშეკრულება ორივე მხრიდან ელექტრონულად დამოწმებული ხელმოწერით. შესყიდვის განხორციელების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში CMR- მოდულში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ბუღალტერიაში ინახება შესყიდული მასალის დოკუმენტები (ბაზრის კვლევის მასალები, მიღება-ჩაბარების აქტები, ანგარიშ ფაქტურები, ზედნადებები). ასევე დადგინდა, რომ ყოველი თვის დასაწყისში სკოლის დირექცია ახორციელებს წინა თვის შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის თანხების სწორ განკარგვას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია, ოქმები;
- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია



1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ძირითადი დოკუმენტი, რაც წარმოდგენილი აქვს სკოლას, არის სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის შინაგანაწესი, რითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას და იმ ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს სადაც გაწერილია ბავშვის უფლებები და მოვალეობები. სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო. ამ მიმართულებით, სკოლაში არსებობს შიდა სასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. შინაგანაწესში გაწერილია დისციპლინური საქმისწარმოება, ასევე ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. წახალისების ფორმებად სკოლას დადგენილი აქვს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. გასაუბრებით იკვეთება, რომ თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეთა სურვილების და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება კლუბები. საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა: კერძოდ, სასკოლო კრებებზე არ ხდება კონკრეტული მოსწავლის საკითხის საჯარო განხილვა. სკოლაში მოქმედებს ელექტრონული ჟურნალი და მშობელს შეუძლია შეიტყოს ინფორმაცია მხოლოდ მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. სკოლაში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, თუმცა შემუშავებული აქვთ მათთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე, დამრიგებლის საათზე. სკოლა მოსწავლეებისთვის და მოსწავლეთა ინიციატივით, ახორციელებს საკლასო და სასკოლო პროექტებს. დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს, სკოლაში, ყველა კლასში ერთობლივი



წესით შემუშავებულია ქცევის წესები. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებები, სასკოლო საზოგადოებისთვის ცნობილია, სკოლის მიერ დაგეგნილი შეხვედრებით. სკოლის შინაგანაწესი, ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები ერთი წლის ვადით. თუმცა, სამომავლოდ, სკოლა გეგმავს ხელშეკრულების ვადის გადახედვას და ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრება მოსწავლის სკოლაში სწავლის პერიოდი. სკოლაში დაცულია, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. მოსწავლის შესახებ გარკვეული ინფორმაციის გაზიარება (ფოტო-ვიდეო მასალა), ხდება მშობლის ნებართვის საფუძველზე. სკოლას შემუშავებული აქვთ ნებართვის ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობლის თანხმობა;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ხელშეკრულება მშობელთან;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი. შესაბამისად მოსწავლეთა ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხდება ამ წესის დაცვით. წესი ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N 04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესსა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესს“. სკოლა დროულად ახდენს მშობლის ინფორმირებას მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შესახებ. კლასის დამრიგებლები მიმართავენ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში და აგრძელებენ ინფორმაციის მოპოვებას გაცდენებზე. გაცდენილი 45 დღის შემდეგ კლასის დამრიგებელი დირექციის წინაშე სვამს საკითხს მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შესახებ, რაც დასტურდება ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებითა და საინფორმაციო პორტალის eschool დათვალიერებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- 2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სკოლაში მოსწავლეთა მიღება და მობილობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია პირველ კლასში მოსწავლის მიღების წესები. ინფორმირებული არიან მშობლები და მოსწავლეები მობილობის შესაძლო თარიღების შესახებ, რომელიც ასევე განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. მობილობის შემთხვევაში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს სკოლას, მობილობა ხორციელდება eschool-ის ბაზის გამოყენებით. მოსწავლის პირადი საქმე იგზავნება ფოსტის საშუალებით.

საფეხურის დამთავრებისთანავე იკრიბება პედაგოგიური საბჭო. სხდომაზე განიხილება მოსწავლეთა საბოლოო აკადემიური მოსწრება, რაც აისახება პედაგოგის ოქმში, რის საფუძველზეც საფეხურის დაძლევის შესახებ, დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

- 3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მედია პროექტთან „ეტალონი - განათლება“ და ჩართულია მის მიერ განხორციელებულ პროექტებში. სკოლაში არ ფუნქციონირებს ფასიანი წრეები. სკოლას სოციალურ ქსელში აქვს გვერდი და ასევე ვებ გვერდი, საიდანაც ყველა

დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სკოლის შიდა პოლიტიკის შესახებ. სკოლას აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები, რასაც იცნობენ მოსწავლეები და მშობლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, კანონმდებლობის შესაბამისად იკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე, ასევე ვებ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით. სკოლა მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებს არ ავრცელებს მშობლის ნებართვის გარეშე, ითვალისწინებს კანონს პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ, იღებს მშობლის თანხმობას მისი შვილის ფოტო/ვიდეო მასალის გამოქვეყნებისთვის. არ ავრცელებს გადაუმოწმებელ, არასაჭირო ინფორმაციას. დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისათვის, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის. სასკოლო თემის ყოველ სუბიექტს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევების აღიარებაზე, არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები;
- მეორე უცხო ენის არჩევა;
- მშობლის თანხმობა;
- ქცევის წესები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;



4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი, რომლიც მოიცავს: პირველკლასელთა და სხვა მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის წესს, მოსწავლეთა კმაყოფილების სავარაუდო კითხვარს და რეკომენდაციებს მშობლებისთვის, სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ტრადიცია, სასწავლო წლის დაწყებისას, პირველ დღეს, აღმართოს ეროვნული დროშა, მოუწყოს საზეიმო დახვედრა სკოლაში მოსულ მოსწავლეებს, დაახვედროს მხიარული და სასიამოვნო გარემო. სკოლის დირექტორი სიტყვით მიმართავს სასკოლო საზოგადოებას, აცნობს განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს. წარჩინებულ მოსწავლეებს გადასცემს სიგელებს, პირველკლასელებს სასწავლო ბუკებს. პირველკლასელები კლასის დამრიგებელს მიჰყავს თავიანთ საკლასო ოთახში, სადაც მათ ხვდებათ ძალიან ლამაზი და დასამახსოვრებელი გარემო. ყველა კლასის დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს თავის საკლასო ოთახს, თანაკლასელებს და სკოლაში არსებულ საერთო სარგებლობის სივრცეებს. სკოლა ხელს უწყობს მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ადგილზე ვიზიტისას, ასევე გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში, მოსწავლის წინსვლასა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც გამოკვეთს რა გაუჭირდა მოსწავლეს და სად სჭირდება დახმარება. განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეები სისტემატიურად იღებენ საგაკვეთილო პროცესში და ასევე ორივე სემესტრის ბოლოს. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას აკეთებენ მატერიალური სახით. მეხუთე კლასის მეორე სემესტრში, მეექვსე კლასში და

საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, რასაც კლასის დამრიგებლები, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლაში მოსწავლეთა უფლებების რეალიზებისთვის ფუნქციონირებს შინაგანაწესი, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი. ყველა ამ დოკუმენტის მიხედვით გაწერილი უფლებები სრულად არის დაცული სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. ყველა ადმინისტრაციულ მომსახურებას მოსწავლე იღებს კანონმდებლობით დადგენილ, გონივრულ ვადებში: ექთნის მომსახურება, ბიბლიოთეკის ოთახით და ისტ-ის კაბინეტით სარგებლობა, ინტერნეტის და გარე სპორტული მოედნის გამოყენება. მოსწავლეთა მხრიდან ნიშნის ამღლების სურვილის შემთხვევაში სკოლას განცხადებით მიმართავს მშობელი და სსგ-ით დადგენილ ვადაში იღებს მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს აგნობრივი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერი მექანიზმის წესი და ზრუნავს დამატებითი აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერაზე. სკოლა აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა და კონკურსების შესახებ ინფორმაციას. სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „კიდევ ერთხელ, არა ძალადობას!“, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის კონკურსში, არასამთავრობო ორგანიზაციის world – vision -ის მიერ მოწყობილ პროექტებსა და კონკურსებში, ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსში, სადაც სკოლამ მოიპოვა იმერეთის ჩემპიონის ტიტული. სკოლის ღონისძიებებში და პროექტებში მონაწილეობა არადისკრიმინაციულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

